ოზურგეთული ბრენდი მაღაზია „ლიზი-2“ გილოცავთ შობა-კალანდას!

გთავაზობთ:

– ხის პანელებს კედლისა და ჭერისათვის;
– სხვადასხვა სახისა და ზომის სახურავებს;
– ეკოლოგიურად უვნებელ საღებავებსა და წებოებს;
– სანტექნიკისათვის გათვალისწინებულ ყველა სახის
მაღალხარისხოვან მასალას;
– ელექტროტექნიკასა და მოწყობილობებს, საცხოვრებელი ბინებისა თუ
ოფისების ელექტრეფიცირებისათვის საჭირო მასალებსა და სხვა.
ფასები – ხელსაყრელი, მომსახურება – უნივერსალური.

მაღაზია „ლიზი-2“ – თქვენი საიმედო პარტნიორი!!!

ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №10

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 1 (10468) 11 იანვარი, 2024 წ. ფასი 80 თეთრი.

„გობრონიძის მარანი-ღვინის სალონი“

სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ შობა-ახალ წელს. დაე, 2024-ი იყოს საუკეთესო არჩევანის, შესაძლებლობების და კეთილად დახარჯული შრომის წელიწადი. გავაძლიეროთ ერთმანეთი და ერთად გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო!
მრავალჟამიერ თქვენს ფუძე-ჭერს!

პატივისცემით „გობრონიძის მარანი –ღვინის სალონი“
ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ.№20

7 იანვარს მართლმადიდებელმა სამყარომ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა

7 იანვარს მართლმადიდებელმა სამყარომ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საშობაო ლიტურგია ჩატარდა.

საზეიმო წირვა-ლოცვა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეუფე იოსებმა,** სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

საღმრთო მსახურებას გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მრევ-ლთან ერთად დაესწრო.

ქრისტეს შობის სადღესასწაულო მსახურება შემოქმედის ეპარქიის ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინა და 7 იანვრის გამთენიას დასრულდა.

ტრადიციულად, 7 იანვარს შემოქმედის ეპარქია ჩაატარა ტრადიციული საზეიმო მსვლელობა – „ალილო,“ რომელიც ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო, დაილოცა ქალაქის ქუჩები თამარ მეფის საწინამძღვრო ჯვარით და შეგროვდება შესაწირები, რომელიც შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცა.

საქართველოში „ალილოს" მივიწყებული ტრადიცია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლო-ცვა-კურთხევით აღდგა და ყოველწლიურად იმართება.

ლანჩხუთში ტრადიციული ალილო მოეწყო

ალილოს მონაწილეებმა მსვლელობა მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩიდან დაიწყეს.

შობის დღესასწაული მეალილოეებს მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა,** პირველმა მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ემზარ თევდორაძემ** მიულოცეს.

შეგროვილი ნობათი სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ მოსახლეობას გადაეცა – ლანჩხუთიდან ვულოცავ ყველას ქრისტეშობას სრულიად საქართველოს. მშვიდობას, სიხარულს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ. მრავალს დაესწარით!– აღნიშნა ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

3 იანვარს დაბადებული პირველი ახალშობილი ოზურგეთში

ოზურგეთის მერის მოადგილემ, **ნათია გოლიაძემ,** 2024 წელს დაბადებული პირველი ახალშობილი მოინახულა.

ლიზი მახარაძე 3 იანვარს კლინიკა „მედალფას“ სამედიცინო ცენტრში დაიბადა.

ნათია გოლიაძემ დედას ხათუნა ზაველურს ბავშვის დაბადება მიულოცა და საჩუქრები გადასცა. პატარას კი ჯანმრთელობა და ბედნიერი მომავალი უსურვა.

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა ახალი წელი საგანგებო რეჟიმში მომუშავე სტრუქტურებს მიულოცა

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** ოზურგეთის მერის პირველ მოადგილესთან **გიორგი ღურჯუმელიძესთან,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** და გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ოზურგეთის ბიუროს ხელმძღვანელთან **ქეთევან ვასაძესთან** ერთად, დამდეგი ახალი წელი საგანგებო რეჟიმში მომუშავე სტრუქტურებს მიულოცა.

რწმუნებულმა მოქალაქეებს ახალი წელი მიულოცა

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** მო-ადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მოქალაქეებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

„დამდეგი ახალი წელი მივულოცეთ ოზურგეთის ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარებს, ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოვინახულეთ ქალბატონი ნუნუ ანდღულაძე, რომელიც 2023 წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული გახდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, როგორც ახალმოსახლეობა, ასევე, დამდეგი ახალი წელი მივულოცეთ თამარ კირცხალიას ოჯახს, რომელიც 2023 წლის 8 სექტემბრის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდა და დაექვემდებარა გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანას. საქართველოს პრემიერ - მინისტრის გადაწყვეტილებით, მათ უკვე ჩაერიცხათ შესაბამისი კომპენსაცია და შეიძინეს ახალი საცხოვრებელი სახლი.

მინდა, სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი ახალი წელი და ჩვენს ყველა თანამოქალაქეს ვუსურვო მშვიდობა და კეთილდღეობა",- აღნიშნა გიორგი ურუშაძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცეს

ალიონი. 27დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის საკრებულოს სხდომათა და-რბაზში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს და დამტკიცეს.

პროექტი მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ** წარმოადგინა.

ოზურგეთის ბიუჯეტი 37 მილიონ 750 ათასი ლარით განისაზღვრა.

„ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა **დავით მჟავანაძემ** და **თათია ნიკოლაიშვილმა** ბიუჯეტის პროექტის გარშემო კითხვები დასვეს, რის შემდეგაც სხდომა ოპოზიციასა და უმრავლესობის წარმომადგენელთა დაპირ-ისპირების ფონზე მიმდინარეობდა. ნაცმოძრაობის დეპუტატებმა ბოიკოტის ნიშნათ საკრებულოს სხდომათა დარბაზი დატოვეს და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

პარტია „საქართველოსთვის“ წევრები სხდომის ბოლომდე დაესწრნენ, მათ საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის გარშემო წინადადებებიც წამოაყენეს, მაგრამ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ბიუჯეტის გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **გელა ჩავლეშვილი,** ფრაქცია „ქარ-თული ოცნების“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლავრენტი ბიგვავა.** ბიუჯეტის გარშემო დასკვნები წარმოადგინეს დარგობლივმა კომისიებმაც.

2024 წლის ბიუჯეტს მუხლობრივად უყარეს კენჭი და წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დაამტკიცეს.

საახალწლო შეხვედრები ჩოხატაურში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე,** გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის ჩოხატაურის ბიუროს ხელმძღვანელ **სოფო ჯინჭარაძესთან** და დაბის მაჟორიტარ დეპუტატ **ჯუმბერ ბერძენიშვილთან** ერთად საგანგებო რეჟ-იმით მომუშავე საგანგებო სიტუაციე-ბის კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის; კლინიკების –„ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ და „მედალფა“ სამედიცინო პერსონალს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ჩოხატაურის რაიონული სამმართველოსა და მერიის დაცვის სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა, რომლებიც ახალი წლის ღამეს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ. მათ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათი გადასცა.

სტიქიით დაზარალებულს ახალი წელი მიულოცეს

ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ურუშაძესთან** ერთად 2023 წლის 8 სექტემბრის სტიქიის დროს დაზარალებულ **თამარ კირცხალიას** დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

– ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და დღეგრძელობას გისურვებთ. ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ – აღნიშნა ალექსანდრე სარიშვილმა.

ოჯახს საქართველოს პრემიერ - მინისტრის გადაწყვეტილებით, უკვე ჩაერიცხა შესაბამისი კომპენსაცია და შეიძინეს ახალი საცხოვრებელი სახლი.

„მე და ჩემი შვილები ვქნით ისეთ პროდუქტს, რომელიც ყველას მოსწონს“

ალიონი. ბოლო წლებში „ჩაის გზის“ და სხვა ფესტივალებში, გამოფენა-გაყიდვებში პოპულარულია **მზია შარაშიძის** ჩურჩხელები.

წინასაახალწლოდ ქალბატონ მზიას ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის თეატრალურ მოედანზე, საახალწლო ნაძვის ხის ღონისძიებაზე შევხდით და მცირე ინტერვიუ ჩავიწერეთ:

–ეზოში თხილის და ნიგვზის პლანტაცია გვაქვს და გადავწყვიტე მეკეთებინა ჩურჩხელები, რომლის ტრადიციაც ოჯახში გვქონდა. თანაც ვიცოდი, რომ არ იქნებოდა ბაზრის პრობლემა, რადგან ქალაქ ბათუმში უამრავი ტურისტი ჩამოდის. კახეთიდან ჩამოაქვთ ჩურჩხელები და ჰყიდიან და ვიფიქრე, მე როგორ ვერ გავყიდდი ნატურალურ ჩურჩხელებს. დავიწყე ჩურჩხელის წარმოება და დღეს უკვე წარმატებული მეწარმე ვარ.

– მაინც რა წინაპირობა ჰქონდა ამ საქმიანობის დაწყებას?

–13 წლის ასაკში უკვე დედა ვიყავი და ადრიანად ჩავები შრომით საქმიანობაში. 5 შვილს ვზრდიდი. 33 წლის ასაკში დავქრივდი და დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა შემენახა ოჯახი. მით უმეტეს, გურია არ გამოირჩევა განსაკუთრებული რესურსებით და და მივხდი, ჩვენ თვითონ უნდა შეგვენახა ჩვენი თავი. ასე დავიწყე ბრძოლა და დღემდე არ ვნებდები...

– რა როლი უჭირავს თქვენს საქმიანობაში სხვადასხვა ფესტივალებს...

– „ჩაის გზის“ დესტივალებმა დიდი სტიმული მოგვცა. ცნობადობის ამაღლებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვიცი „ბახვი ჰესი“ აფინანსებს „ჩაის გზის“ ფესტივალებს.

ამას ემატება მუნიციპალური ღონიძიებები. მოკლედ ბედს არ ვუჩივი.

– რა არის თქვენი წარმატების მთავარი საიდუმლო?

–ხარისხი. ჩემი ჩურჩხელები მრავალფეროვანია, სხავადასხვა სახისაა და ჩემი მტკაველით იზომება. ამაში ჩემი შვილები მეხმარება. ეს ჩემი საოჯახო ბიზნესია.ყოველი დღე სიახლეა ჩემთვის. სულ ვცდილობთ გავზარდოთ სიახლეები, და მაბედნიერებს იმის განცდა, რომ მე და ჩემი შვილები ვქნით ისეთ პროდუქტს, რომელიც ყველას მოსწონს.

პროფესორ ედიშერ ჭელიძის აკადემიური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

ალიონი. 29 დეკემბერს, ვკვართამაღლების სატაძრო კომპლექსთან არსებულ წმ. გრიგოლ ხანთელის განათლების კერის ინიციატივითა და ორგანიზებით შედგა პროფესორ ედიშერ ჭელიძის აკადემიური მოღ-ვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის წარმომადგენლები და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“.

ედიშერ ჭელიძე წარმოშობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურიდანაა. მამა, პროფესორი გიზო ჭელიძე, ცნობილი მწერალი და მეცნიერი იყო. ცნობილი მე-ცნიერი იყო ასევე დედა–ნათელა ჭახნაგია.

ძმა, ლადო ჭელიძე – პროფესორი, ამჟამად ისრაელში, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ფოლკლორის კვლევის ცენტრის აფილირებული მკვლევარია.

შშმ პირებისათვის საახალწლო კონცერტი ჩატარდა

27 დეკემბერს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საახალწლო კონცერტი გამართეს. წინასაახალწლო ღონისძიება ბახვი ჰესის მხარდაჭერით ჩატარდა და ის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ „ადაპტი თანასწორობისა და განვითარების დღის ცენტრისა“ და შშმ პირთა „საქველმოქმედო ასოციაცია გურიას“ ბენეფიციარებისთვის იყო განკუთვნილი.

ღონისძიება ფოლკლორის ცენტრის პროექტ „ვუმღეროთ თანატოლებს“ ფარგლებში გაიმართა და მასში მონაწილეობა 170-მა ადამიანმა მიიღო, მათ შორის 90-მდე შშმ პირი იყო.

„ჩვენ გვაქვს ასეთი პროექტი „ვუმღეროთ თანატოლებს“. წლის განმავლობაში რამდენიმე კონცერტს ვმართავთ ხოლმე. ამჯერად გადავწყვიტეთ, რომ ამ ახალ წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები გაგვეხარებინა და ჩვენმა მოსწავლეებმა სპეციალურად მათთვის წინასაახალწლო კონცერტი გამართეს.

მინდა, მადლობა გადავუხადო ***„ბახვი ჰესს“,*** *რომელმაც მხარდაჭერა გამოგვიცხადა და ამ დღის გალამაზებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. როგორც ჩვენი მოსწავლეებისთვის, ასევე კონცერტის მონაწილე თითოეული პირისთვის ეს დღე დაუვიწყარი იყო“,* – განაცხადა ოზუ-რგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძ-ღვანელმა, **ავთო სურგულაძემ.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური სერვის ცენტრი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ჭეშმარიტი პოეზიის სამყაროში

„მე პოეტი არ ვარ,მხოლოდ ვცდილობ გავხდე, თუკი საამისო ტალანტი გამომაჩნდა...წერა ყველას შეუძლია, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი მწერლობა არა.. – წერდა ლადო ასათიანი. ტალანტში პოეტი გულისხმობდა არა სიტყვებით მოთამაშეს, არამედ საინტერესო, ღირებული, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედის გონების ნაჟურს...

29 დეკემბერს ლიტერატურულმა სალონმა „ივერიამ, ლადო ასათიანის პოეზიის თეატრი წარმოადგინა.. ღონისძიების მსვლელობისას ხშირად ხან მონოლოგით, ხანაც დიალოგით წარმოგვიდგებოდა ლადო ასათიანის (შემსრულებელი ლუკა ხომერიკი) მსმენელის წინაშე.მან შთამბეჭდავად განასახიერა პოეტის როლი.

ღონისძიების მსვლელობისას ბავშვები ემოციურად გადმოსცემდნენ იმ მძაფრ ტკივილებს, წინააღმდეგობებითა და ტერორით რომ მოუტანა ავბედითმა 30-იანმა წლებმა ჩვენს მრავალჭირნახად ერსა და მწერლობასა. ლადოსა და დედის (მარიამ კალანდაძე, მე- 10კლ.), ლადოს, ანიკო ვაჩნაძისა (ნათია ცირდავა, მე-10 კლ.) და ნიკა აგიაშვილის (ზურაბ გორგაძე,მე- 10 კლ),დიალოგებით გადმოცემული იყო ცრემლიცა და სიხარულიც, სიყვარულიცა და მონატრებაც.. მონაწილეებმა ისაუბრეს ლადოს თაობის ახალგაზრდა პოეტების ვკანსაღი, მეგობრული ურთიერთობების ამსახველ ეპიზოდებზე, პოეტის ჭეშმარიტ სიყვარულსა და მუზაზე, დაპირისპირებაზე საბჭოთა იდეოლოგებთან,... მოსწავლეებმა არა მხოლოდ გაითამაშეს როლები, მხატვრულად წაიკითხეს ლადოს ლექსები „ბარდნალა„ „ სამშობლო„ არ ვიცი ასე რამ შემაყვარა„ „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი„ , „ ყაყაჩო, „ მე ვეტრფი ძლიერ,“ „ამისი ქმარი სარდაფში მოკვდა“, „სასაფლაო„... ასევე წაიკითხეს ამონარიდები მოგონებებიდან,მიძღვნილი ლექსები, საკუთარი ჩანახატები, .ნორჩმა ჟურ-ნალისტმა და ტელეწამყვანმა ავთუკა ხომერიკმა ლადო ასათიანის სახლ - მუზეუმში გადაღებული ფოტომასალითა და ვიდეოკოლაჟით გაალამაზა ღონისძიება, მაგრამ მთავარი მაინც იყო ცოცხალი სიტყვა!..

ღონიძიებაში ასევე მონაწილეობდნენ ა. ხომერიკი, ა. ჩხიტუნიძე, ლ. გაგუა, მ. ბარბაქაძე, ნ. გიორგაძე, მ. გიორგაძე,ს . კაჭარავა, ლ. ქათამაძე, ა. ვკაბუა, ლ. ხვედელიძე, თ. გულიაშვილი, ლ. ცინარიძე, ს. ვკაბუა,მ. ჩხაიძე,ნ. ხვედელიძე,მ,ხომერიკი, თ. კვინიკაძე, თ. მოსახლიშვილი, ს . დავაძე, ა. ჩხიტუნიძე, ს. კაპანაძე, გ.კირკიტაძე, ც. ცირდავა.

და ბოლოს, „ივერიელებს“, ასე მიმართა სალონის ხელმძღვანელმა.. ვინაიდან *„ჟამი თქვენია“ და თქვენა ხართ ამ ჟამის მფლობელნი,გპირდებით, მომავალში კიდევ უფრო ფართოდ შევაღებთ ქართული მწერლობის კარებს და ბევრ თვალსაჩინო შემოქმედს შევისწავლით, რაც ეროვნული ღირსების გრძნობას კიდევ უფრო გაგიმაფრებთ.“*

.ქალბატონმა რუსუდანმა პოეზიის თეატრის მონაწილეები დააჯილდოვა დიპლომებითა და წიგნებით. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები , მასწავლებლები . ასევე იმყოფებოდნენ გაზეთ „ალიონის,“ რედაქტორი, ჟურნალისტი ნუგზარ ასათიანი და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავჯდომარე როზა გოგუაძე. მათ ლიტერატურული სალონის მიერ წარმოდგენილი ღონისძიება ემოციურად შეაფასეს და ხაზი გაუსვეს მოსწავლეთა ინტერესსა და სიყვარულს ლადო ასათიანის პოეზიის მიმართ.

რუსუდან ბაქანიძე,

შრომის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

გაზეთ „ალიონის“ 94-ე საგამომცემლო წელი დაიწყო

5 იანვარს 94 წელი შესრულდა გაზეთ „ალიონის“ დაარსებიდან. საქართველოში ასეთი სოლიდური ასაკის მხოლოდ ორიოდე რეგიონული გაზეთია შემორჩენილი, რომლებსაც ამ ხნის მანძილზე გამოცემა არ შეუწყვეტია.

პირველი ნაბეჭდი გაზეთი „გურიის ხმა“ 1918 წელს გამოვიდა ოზურგეთში, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში იყო. ამ გაზეთის ბოლო ნომერი 1921 წლის 17 მარტს დაიბეჭდა. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა, 1931 წელს „ალიონის“ წინამორბედი გაზეთის დაარსებისას სტამბაში სწორედ „გურიის ხმის“ დროინდელი გამოცდილი მესტამბეები დასაქმდნენ.

აფთონ გურგენიძე ლიტერატურული გაერთიანების პრეზიდიუმის სხდომაზე; მარცხნივ პოეტი მალვინა თოიძე; მარჯვნივ: გენრიეტა ქუთათელაძე, გიზო ჭელიძე, მიხეილ შავიშვილი

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში გაზეთის რედაქტორი იყო ქართული ჟურნალისტიკის სარბიელის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა **ვახტანგ ჯაფელი** (ცნობილი მწერლისა და მეცნიერის გიზო ჭელიძის ეპითეტია). ბატონ ვახტანგ ჯაფელის მიერ დაკომპლექტებულმა და მანამდე დანიშნულმა კადრებმა ახალი ჟურნალისტიკური ატმოსფერო შექმნეს გურიაში. ესენი იყვნენ: *მამია კილაძე, თამაზ სალუქვაძე, ელგუჯა შევარდნაძე, ნუგზარ ქინქლაძე, გიზო ჭელიძე, მინდია თავაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, გერმანე ანდღულაძე, გენრიეტა ქუთათელაძე, თამაზ გობრონიძე, ვასო მექვაბიშვილი, ლამარა სიმონიშვილი, გიგლა ვაჩეიშვილი (ჩოხატაური), ვალიდა ფიფაიშვილი (ლანჩუთი), ანა ართილაყვა, ფაცია ცქვიტინიძე* და სხვები. მას შემდეგ, რაც გაზეთს **აფთონ გურგენიძე** ჩაუდგა სათავეში, რედაქციაში კვლავ ნიჭიერი ჟურნალისტები *ეთერ ქადეიშვილი, (ამჟამად სქიმ-მონაზონი დედა ეკატერინე); ზაირა ბილიხოძე* და *გულსუნდა მახარაძე* მოვიდნენ (40-იან წლებში ქალბატონ გულსუნდას მამა – ლეონიდე მახარაძე გაზეთის რედაქტორი იყო).

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლებში რედაქციაში მოვიდნენ: *ნუგზარ ასათიანი, თამაზ ხარაიშვილი, ნუკრი ნიკოლაიშვილი,ნინო მდინარაძე, ნინელი კალანდაძე, ნინო სალუქვაძე.. .*

გაზეთში მუშაობდნენ შესანიშნავი ფოტოკორესპონდენტები (60-იანი წლებიდან): *გიგლა გიორგაძე, იური შაქარიშვილი, ზია სამსონია, ამირან გოგიტაური, დათო გიორგაძე.. .*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები ოზურგეთის გაზეთში გადიოდნენ ჟურნალისტურ პრაქტიკას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთის ტირაჟი 20 000-მდე იყო. 1986 წელს გაზეთს ცნობილი პუბლიცისტი **თამაზ სალუქვაძე** ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში აშენდა ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანების ახალი შენობა, სადაც იმ დროისთვის საუკეთესო პოლიგრაფიული დანადგარები დაიდგა. გაერთიანებას ყოფილი „ალიონელი“ ვაჟა ჭანუყვაძე ჩაუდგა სათავეში. გაზეთი ოფსეტურ ბეჭდვაზე გადავიდა

1990 წლის აპრილიდან რეგიონში პირველი დამოუკიდებელი გაზეთი „ალიონი გამოდის (რამდენიმე ნომერი „გურიას“ სახელით გამოვიდა). სამოქალაქო ომის შემდეგ დაიწყო გაზეთის არსებობისთვის რთული პერიოდები. 1992 წელს გაზეთი „ალიონი“ 14 000 ტირაჟით გამოდიოდა. შემდეგ ტირაჟმა მკვეთრად იკლო. იმ წლებში, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, გამოჩნდა, რომ „ალიონის“ ჟურნალისტებს როგორ უყვარდათ საკუთარი პროფესია. რეგიონში ერთადერთი პერიოდული გამოცემა გამოდიოდა..

თამაზ სალუქვაძე ნიჭიერი და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული რედაქტორი იყო. 1996 წელს გაზეთის პირველი კომპიუტერული გამოცემა გამოვიდა (აიწყო „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში“,), ხოლო შემდეგ მთლიანად ახალ ტექნოლოგიაზე გადავიდა. რაშიც დიდი წვლილი გაზეთის კომპიუტერული სამსახურის უფროსს *დავით კუტუბიძეს* მიუძღვის.

2005 წლის 16 ივლისს გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა ყოფილი აგროსამრეწველო გაერთიანების შენობა, სადაც „ალიონს“ უვადო უზუფრუქტით 200 კვადრატული ფართი ჰქონდა. ხანძრის შედეგად განადგურდა რედაქციის ქონება, კომპიუტერული ტექნიკა, გაზეთის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი რედაქციას ქალაქის იმჟამინდელი მერის ლევან ურუშაძის თანადგომით ქალაქის თვითმმართველობის შენობაში გადაეცა სამუშაო ფართი. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უზუფრუქტით ხელშეკრულება გაფორმდა...

2006 წლის აპრილიდან გაზეთ „ალიონს“ ჟურნალისტი **ნუგზარ ასათიანი** ხელმძღვანელობს.

გაზეთი გურიის სამივე მუნიციპალი-ტეტში ვრცელდება.

გამოდის „ალიონის“ინტერნეტგამოცემა – ALION.GE.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, **გიორგი კეკელიძის** ინიციატივით გაზეთ „ალიონის“ მე-10 000-ე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ალიონის“ არქივის გამოფენა გაიმართა. ღონისძიებას პოლიტიკოსები, კულტურის, ხელოვნების, მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ალიონი“ ბოლო 10 წელია, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გამომცემლობაში „მერიდიანში“ იბეჭდება.

ვახტანგ ჯაფელი

მარცხნიდან: თამაზ სალუქვაძე, ბადრი ინგოროყვა, ნოდარ დუმბაძე

„ინტერნიუსი – საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის – „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ – ფარგლებში, გაზეთი „ალიონი“ საქართველოში ოთხ საუკეთესო რეგიონული გამოცემის შორის დასახელდა, სადაც ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობენ, არ ქვეყნდება სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები.

როგორც გასული საუკუნის 90-იან წლებში, დღესაც რთულია გაზეთის გამოცემა. კვლავ არავანსაღი კონკურენციაა, უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ ბეჭდური გამოცემები ფაქტიურად მივიწყებულია

ვულოცავთ გაზეთ „ალიონს“ და მის ერთგულ მკითხველებს 94 წლის იუბილეს და კვლავაც ვუსურვებთ მართალი სიტყვის მკითხველამდე მიტანას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

...დუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად!

სოფელ ლიხაურის ცენტრს – ჯვარს ლამის ნახევარი საუკუნეა, ამშვენებს „ღვთისკაცად“ ამაღლებული ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი. 2023 წლის მიწურულს ამ რთულ კომლექსს (მოქანდაკე ანზორ გომართელი, არქიტექტორი რობერტ გოგოლიშვილი) ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია; რომ იტყვიან, ასეთი თავდაპირველადაც არ ყოფილაო, ისეთი გამოვიდა!

ვხარობთ მისი შემყურენი, და თქვენც გილოცავთ!

...სიმბოლურია, რომ დიდი ექვთიმე დაბრძანებულა სკოლის წინ. ის ხომ მთელი ცხოვრება მასწავლებლობდა! მაშინ, როცა ყრმა იყო და მოწაფე, შემდეგაც, რუსეთიდან ზურგგამაგრებულმა მოღალატეებმა რომ ცეცხლი წაუკიდეს ჩვენს სამშობლოს, ხოლო მისი ძვირფასი ტერიტორიები უფეშქაშეს ყველა გარშემომყოფ „მეზობელს“; პირველი რესპუბლიკის გამორჩეული შვილები დევნილობაში იტანჯებოდნენ, აქ დარჩენილებს სპობდნენ და სხვადასხვა მეთოდებით აწამებდნენ. და მერეც, შინ რომ დაბრუნდა საგანძურმოუკლებელი და ახლის შემძენიც, და ისევ საქართველოს აღსადგენად!

მაგრამ, ვაი, რომ მოხდა სხვაგვარად...

მაინც ვერაფერი დააკლეს. თანდათანობით ყველა ტიტულით შეამკეს მადლიანმა შთამომავლებმა, ძვირფასი ნინოს ნეშტიც გადმოუსვენეს, და ორი საფლავის გავლის შემდეგ, მთაწმინდაზე მიუჩინეს მარადიული სამყოფელი!

...ქვეყანაც 26 მაისის დიად გზაზე დააყენეს!

ახლაც ხომ ბრძოლაშია ჩვენი ერი!

მაშ, წინ, დიდი ექვთიმეს შვილებო!

2024 დამდეგი წლის მოსალოცად კი შეგახსენებთ მის მტკიცე დანაბარებს! „ჩვენს შემდეგ, ჩვენზე უკეთესები მოვლენ!“

ნუთუ, ამ ნაჭედ სიბრძნეს ვუღალატებთ?..

რუსლან ურუშაძე –
ლიხაურში ექვთიმეს მუზეუმის მცველი;

ნუგზარ ასათიანი –
მუზეუმთან არსებული მზრუნველთა საბჭოს წევრი.

მსოფლიო ქამარი გადაეცათ

2023 წლის 21-25 დეკემბერს თბილისში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, ჩატარდა მსოფლიო თასი ბუდოს საბრძოლო ხელოვნებაში. (კიკბოქსინგში, mma Si, კიოკუშინკაი კარატეში,გრეპლინგში ბრაზილიური ჯიუჯუცუ, კრივში, უშუ სანდაში, და ტაეკვონდოში). შეჯიბრი 6 წლის ასაკიდან 18 წლამდე და პლიუს 18 წლის და ვეტერანებშიც ჩატარდა შეჯიბრს ორგანიზება გაუწია მსოფლიოს ბუდო კარატეს ფედერაციამ და საქართველოს ბუდოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციამ მადლობას ვუხდი საქართველოს მუაიტაის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ **იგორ დენისენკოს**, ვიცე- პრეზიდენტს ბატონ **მიხეილ ახალკაცს** და სავატეს ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ **ინგა დამენიას** დახმარებისათვის. ასევე მადლობას ვუხდით შერეული ორთაბრძოლების ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ, **გიორგი კაბულაშვილს** ამ შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა, 500 სპორტსმენი, და 8 ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთი, მაროკო, ყაზახეთი, ირაქი და პაკისტანი ამ შეჯიბრზე მონაწილეობას იღებდა ჩემი მოსწავლე და ჩვენი ბუდოს ფედერაციის ინსტრუქტორი: **გიორგი კვარაცხელია** მან 3 ბრძოლა ჩაატარა გრეპლინგში (ბრაზილიური ჯიუჯუცუ) და სამივე მოიგო ფინალში მან, ირანელი სპორტსმენი დაამარცხა და გახდა მსოფლიო ჩემპიონი და გადაეცა ჩემპიონის ქამარი საქართველოს ბუდოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაცია ულოცავს გიორგის ამ დიდ წარმატებას და მომავალში, წინსვლას და სულ გამარჯვებებს ვუსურვებთ **მსოფლიო ქამარი გადმომეცა მეც,** საქართველოს ბუდოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციას შეჯიბრის ჩატარების ორგანიზებისათვის ჩვენი ფედერაციის შედეგად, საზღვრიდან ირანიდან, უფასოდ განუბაჟებლად შემოვიდა, სპეციალურად ამ შეჯიბრებისათვის დამზადებული სერთიფიკატები 500 ცალი, მედალი 500 ცალი და საჩემპიონო ქამარი 50 ცალი პირველი შეჯიბრი ამ სტილში, მსოფლიოს და საქართველოს ფედერაციებმა, ჩაატარეს 2017 წლის 15-17 აპრილს, საქართველოში კერძოდ ოზურგეთში –წერს **ირაკლი ტულუში** სოციალურ ქსელში.



გურული, ნინო ნაკაშიძის საინტერესო მოგონებები და განახევრებული ფასი

შესვენებაზე, ცოტა არ იყოს დამძიმებული თავით, ქუჩაში გამოვედი. დაღმართს დავუყევი, „კოლმეურნეობის მოედანი“ გადავკვეთე და ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისში, ბუკინისტურ კუთხეს მივაკითხე. ხშირად მოვდივარ აქ, ჩავდივარ, ვათვალიერებ, იშვიათად ვყიდულობ და ვუბრუნდები დასვენებული, ჩემს სამუშაო ადგილს. არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლაც ასე იყო, განსხვავებულად დამხვდა კუთხეც და მთელ სიგრძეზე სამ რიგად განთავსებული წიგნებიც, ბევრი ნაცნობი და ცოტა – უცნობი. მთელი ბავშვობა და არა მხოლოდ ბავშვობა გაწოლილიყი ოთხრიგად მიწისქვეშა გადასასვლელის ფართე მოაჯირზე. ბევრ წიგნს ფასის აღმნიშვნელი ქაღალდი ჰქონდა დაკრული: 2, 5, აქა-იქ, 7. ნეტა იცოდეთ, რამდენმა წიგნმა დამიძახა, თუ არ მიყიდი, ხელში მაინც ამიყვანეო, თითქოს მზუნველობას მოკლებული პატარა ბავშვი ყოფილიყოს, რომელსაც თავზე ხელის გადასმა სურდა.

ამასობაში ბუკინისტიც გამოჩნდა. მომესალმა, თუმცა, დაპირებული: „ხომ არ დაგეხმაროო?“ არ უკითხავს. შორიახლო იდგა, ხან მე შემომხედავდა, ხან იგივე წიგნს, მე რომ ვუმზერდი.

ბოლოს ცდუნებას ვეღარ გავუძელი, ერთ-ერთ წიგნს, სხვებზე უფრო ხშირად, რომ მომაპყრობდა მზერას, ხელში ავიღე და ვიდრე გაადავშლიდი, ყდაზე რამდენადაც შევძელი სათუთად მოვეფერე.

– ეს წიგნიც 3 ლარი ღირს?!- გაკვირვებით ვკითხე ბუკინისტს.

– არა! - მიპასუხა, ცოტა არ იყოს ნაწყენმა, ათად მოგცემ.

– ღირს, ვუთხარი მე.

– ღირს, გურული ნაკაშიძეების რძალია!

– ვიცი, ვუთხარი მე, ქალიშვილობის გვარი ანთაძეა, მეუღლეს ილია ერქვა, ილიას მამას პეტრე. ის პეტრე ნაკაშიძე იყო ილიამ ორი პოემა რომ მიუძღვნა, ტოლსტოისაც იცნობდა, დიმიტრი არაყიშვილსაც.

– 5 ლარად მოგცემ! – თქვა და გაუხარდა წიგნს მე რომ ვიყიდდი! რა თქმა უნდა, მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, ვის სახლში დაიდებდა ბინას წიგნი, რადგან საუკეთესო მეგობარს, კარგი თავშეაფარი და სითბო სჭირდება.

ვიყიდე, ნინო ნაკაშიძის „მოგონებანში“ ხომ ჩემი ბავშვობაცაა და მამაჩემის ახალგაზრდობაც! წიგნი მარცხენა იღლიის ქვეშ ამოვიდე. ნებართვა ავიღე, ბუკინისტურ კუთხეს ვიდეო გადავუღე, არც ის დამიმალავს, წლების წინ სწორედ მისგან ნაყიდი ნიძიოს „საჩუმათო ამბავი“ რომ ვერ გავიხსენე. ბატონ ვალერის დავემშვიდობე და სამსახურში დავბრუნდი.

ახლა დედასთან ვარ. მე კომპიუტერში დღევანდელ შთაბეჭდილებას ვკრეფ. დედა გვერდით მიზის, ნაწერს გულდასმით კითხულობს და კორექტურულ შეცდომებზე მიმითითებს.

მე სწრაფად ვწერ, დედა ნელნელა კითხულობს, ეკრანთან უფრო ახლოს მიდის და წაკითხულს უბრუნდება. მე, წერას, დროებით თავს ვანებებ და კიდევ ერთი ნიკოლაიშვილის სახელს ვიხსენებ, სწორედ ის დამემართა, რაც იაპონელი ნიძიოს გახსენებისას. როგორც იქნა, გავიხსენე, იასონი ერქვა, მეტსახელი კი კარგად მახსოვს, როგორ შეიძლება „ბელზებელი“ დაგავიწყდეს?!

– დიდხანს ჩაფიქრდი, ამბობს დედა.

– ყველაფერს ამჩნევ. – ვუთხარი და მხარზე მივიხუტე. „ბელზებელის“ სახელს ვიხსენებდი.

– ვის სახელს?! – მეკითხება გაკვირვებით.

– „შენ და შემოდგომა“ – ვამბობ მე, გალაკტიონისაა.

– არ ვიცი, ამბობს დედა. აბა, ისე როგორ იქნება, დავიზარო და დედას „შენ და შემოდგომა“ არ ვუპოვო, ვუკითხავ, არ ვიცოდი, იმეორებს ნათქვამს. ჩვენებური „ბელზებელიც“ პოეტი იყო?

— არა, „ქართული ენის გრამატიკის“ პირველი ავტორი იყო, მასწავლებელიც, მოთხრობებსაც წერდა „ივერიაში“.

– კი წავიკითხავდი, რომ შემეძლოს, მიდი დაასრულე წერილი.

– ჯერ „ბელზებელის“ მოთხრობა ვიპოვოთ, ვპოულობთ და ვკითხულობთ. კითხვას რომ მოვრჩი, გდმომხედა და მითხრა:

– იცი, გიო, ეგნატე ნინოშვილია, მაგრამ მეტი ოპტიმისტი. -–რა უნდა მეთქვა?! არაფერი. თავზე ვაკოცე და წერის გაგრძელება დავაპირე.

არაფერი გამოვიდა, წერას თავს ვანებებ, წიგნს ხელში ვიღებ და პირდაპირ მეექვსე გვერდზე ვშლი, რომელიც მარიამ ივანეს ასულით იწყება. მასზე ადრე უკვე ვისაუბრე, მაგრამ, ის რის თხრობასაც ნინო ნაკაშიძის დახმარებით ვაპირებ არაფერი მითქვამს. ჰოდა, დროა მოვუსმინოთ:

„მარიამ ივანეს ასულს მე ვიცნობდი ბავშვობიდან, გავიცანი ოთხმოციის წლებში, ქ. ოზურგეთში, როდესაც ერთკლასიან ქალთა სასწავლებელში ვსწავლობდი.

აი, როგორ მოხდა ეს გაცნობა:

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს მასწავლებელს შემოჰყვა ახალგაზრდა ლამაზი ქალი. როდესაც ჩვენ, ბავშვები, მივესალმეთ, მასწავლებელმა ნინო ნიკოლაიშვილმა-ქიქოძემ მოგვმართა...“

გული არ დაგწყდეთ, ქალბატონ ნინოს ჩვენ ისევ მოვუსმენთ და შეწყვეტილ თხრობასაც გავაგრძელებთ, თუმცა მანამდე გურულფესვებიანი დიდი კაცი უნდა ვახსენო. ეს გადახვევა სხვა რამისთვის დამჭირდა, საკუთარი თავისთვის და თქვენთვისაც, ნათესავები მეკითხებიან: შორეული ნათესავები ხომ არ იყვნენ ქალბატონი ნინო (მასწავლებელი მაქვს მხედველობაში, რასაკვირველია) და ნიკობატონი? მე ვთვლი რომ იყვნენ და ნინო მასწავლებელს ვუსმენთ გულისყურით:

—ბავშვებო. დღეს ჩვენთან სტუმრად მოვიდა ჩემი მეგობარი. მარიამ ივანეს ასული ივინოვა, რომელიც ჩემს მაგიერ გასწავლით ერთი კვირის ან ათი დღის გაიმავლობაში.

ჩვენ ძალიან გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი და კინაღამ ავი ტირდით, ისე გვეწყინა, რომ გვტოვებდა, მაგრამ შევხედეთ მარიამის მშვენიერ მოცინარე სახეს და ერთბაშად დაშვიდდით, მით უმეტეს რომ მასწავლებელი ერთი კვირის შემდეგ დაბრუნებას გვპირდებოდა.,

— იმედი მაქვს, თქვენ ისევე კარგად ისწავლით, არ გააჯავრებთ და ყველაფერს გაუგონებთ ჩემ მეგობარს, როგორც მე მიგონებთ. აბა, თქვენ იცით. ახლა კი მშვიდობით, გვითხრა მან და გავიდა. ჩვენთან დარჩა მარიამი.

ჩვენ ყველამ შევიყვარეთ მარიამი მისი ალერსიანი ხასიათისა და ყურადღებისათვის, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენდა.

მოდიოდა ჩვენთან დილით. ტანზე ლურჯი კოსტუმი ეცვა და თავზე პატარა ლურჯი ქუდი ეხურა. მოვიდოდა თუ არა, ჩვენ ყველა შემოვეხვეოდით ხოლმე.

— დაიცათ, ბავშვებო, დაიცათ, არ წამაქციოთ — გვეუბნებოდა ის, ჩა-მოჯდებოდა სადმე სკოლის ეზოში, ან კლასში მერხზე, და ნებას გვაძლევდა შემოვსხდომოდით ირგვლივ, ვისაც როგორ გვესიამოვნებოდა და გვეამბნა მისთვის ჩვენი შინაური ამბები, ჩვენთ თავგადასავალი და გამოგვეთქვა ჩვენი სიხარული იმას გამო, რომ ის ჩვენთან იჯდა ისეთი ლამაზი და ისეთი ალერსიანი. თვითონაც გვიამბობდა სხვადასხვა ამბებს თბილისის შესახებ.

მახსოვს პირველად მისგან გავიგონეთ, რომ არსებობს ქალაქი გორი და გორის „დიდი, უზარმაზარი, თვალუწვდენი ციხე“.

— მეც გორელი ვარ, გვითხრა მან, თამარ მეფე ხომ გაგიგონიათ?

— რასაკვირველია, გაგვიგონია, იმან დაარქვა ჩვენს ქალაქს ოზურგეთი — ვუთხრი მე, როგორც ეს სხვებისგან მქონდა გაგონილი“.



—ჰოდა, აი, ამბობენ, — განაგრძო მარიამმა, ციხე თამარ მეფემ ააშენაო, გორელები არიან ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი.

ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, რომ მარიამი იცნობდა „ყაყიტას ქურდის" ავტორს.

მარიამი ხშირად გიკითხავდა აგრეთვე სხვადასხვა ამბებს.

ორი არაჩვეულებრივი ქალბატონის ურთიერთობის ამბავი ასე როდი დამთავრდა, თუმცა, მე ვამთავრებ და ასეთი არალირიკული გადახვევის შემდეგ, კიდევ ერთხელ ასევე არალირიკულად, გადავუხვევ და ნინო ნაკაშიძის „მოგონებებიდან“ სულ სხვა ამბავს „მოგიყვებით“. სხვა დროს გაგიმხელთ ასეთი საინტერესო „მოგონებებიდან“ რაღა მაინც და მაინც მას მივადექი:

„ამ სტრიქონებს ქვიშხეთში „მწერლების შემოქმედებით სახლში“ ვწერ. სწორედ ამ სახლში ცხოვრობდა დიმიტრი ყიფიანი და მისი დიდი ოჯახი, შემდეგ კი ნინო ყიფიანი და მისი მეუღლე დიმიტრის შვილი, ხალხის საყვარელი დიდი არტისტი კოტე ნინო და კოტე ორივე „ნაკადულის“ თანამშრომლები იყვნენ. ნინო ათავსებდა მოთხრობებს, ნარკვევებს, როგორც ორიგინალურს ისე – თარგმანებსაც. კოტე კი უფრო გასართობებს. მას ეკუთვნის მოთავსებული გასართობი „ანზე ვისი მეზობელი ხარ?“ და სხვ. ნინო თანამშრომლობდა აგრეთვე თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებშიც. მან თარგმნა ჯიოვანელის წიგნი „სპარტაკი“ და სხვ. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ნინოს, ისიც საკმაოა მისი სახელის უკვდავსაყოფად, რომ მან დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად, მწერლების კავშირს გადასცა დიმიტრისეული სახლი და საშუალება მისცა მწერლებს დაესვენათ ზაფხულობით ქვიშხეთის გრილ ჰაერზე კულტურულად მოწყობილ სახლში, და, მეორეც, რომ არ დავიწყებოდა ქართველ ხალხს ის ადამიანი, რომელსაც აკაკის სიტყვით „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრ-ისასა“, რომ სამოცდაცამეტი წლის დიმიტრი ყიფიანი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს, როგორც ხალხის მოსარჩლე, პატრიოტი და პირუთველი, გაბედული მოქალაქე, როგორც „მტრის ურჩი რაინდი“. მართალია, დიმიტრის მკვლელობის შემდეგ გავიდა 64 წელიწადი, მაგრამ ქვიშხეთში ვერ ვიპოვე ისეთი მოხუცი სოფლელი, რომ პირადად ენახოს ის. (ვწერ ამას 1951 წ.) და ახალგაზრდებს კი სრულიად არაფერი გაუგონიათ მის შესახებ. ბევრმა ინტელიგენტმაც კი არ იცის წამებული მოხუცის, მეორე „დიმიტრი თავდადებულის“ ამბავი, როგორც მაშინ ეძახდნენ დიმიტრის“.

„მტრის ურჩი რაინდი“, დიმიტრი თავდადებული, დღეს ისევ ცხოვრობს, ათტომეულის უკვე გამოცემულ (ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი წვლილიცაა ამ საქმეში!) და გაციფრულებული (აქ ხომ არის და არის!) ტომების ფურცლებზე. ცხოვრობს, მარადიულად იცხოვრებს იმ სახლშიც, სადაც მრავალი წელი გაატარა.

ახლა კი დრო, ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობაზე გავაგრძელო საუბარი. თუმცა, მანამდე ისიც ვთქვათ, ნინო ნაკაშიძის დღეს ნაყიდი „მოგონებები“, ის „მოგონებანი“ როდია, რომელიც ადრე უკვე ვახსენე. 1956 წელს გამოცემული „მოგონებანი“, ფორმითაც განსხვავებულია და შინაარსითაც!

გიო კილაძე

ხსოვნა

გაბრიელ გოგოლაძე



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **გაბრიელ (გაბო) გოგოლაძე,** რომელმაც პატიოსნად განვლო მთელი სიცოცხლის გზა და 50 წელზე მეტხანს ერთგულად, უანგაროდ ემსახურა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების დარგს.

იგი დაიბადა 1942 წლის 29 ივლისს დაბა ჩოხატაურში, წარჩინებით დაამთავრა ვანზომლეთის საშუალო სკოლა. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი

იგი 1965 წლიდან მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული მეცნიერების ინსტიტუტში რიგითი ლაბორანტიდან მცენარეთა დაცვის განყოფილების ლაბორატორიის გამგეობამდე. გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მცენარეთა დაცვის საკითხებზე სარეველებთან ბრძოლის განხრით და მიენიჭა სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელებით.

იყო კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა.

წავიდა ჩვენგან პატიოსანი, კეთილი, ვალმოხდილი მეცნიერი.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საქართველოში

მეგობრები

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი გოგოლაძეს მამის **გაბრიელ გოგოლაძის** გარდაცვალების გამო

საახალწლო მეკვლე

შემოვსდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი-კვალი ანგელოსისა, ღმერთმა მოგცეთ ჯიბეში ფული, ჭკუა, ხელში ნიჩაფი, მხარზე ცული .შინ მშვიდობა და გარეთ გამარჯვება!

მეკვლეს თაბაუთი მოითხოვს სათვითაოდ დაილოცონ ჯალაბობის ყველა წარმომადგენელნი. ჩვენი ჯალაბობა ჩვენი ქვეყანაა. აბა, მხვნელ-მთესველნო, მომილოცავს თქვენთვის შობა-ახალი წელიწადი! მრავალს ამ დროს დაესწარით თქვენის ცოლ-შვილით, გიცოცხლოთ თქვენი ქულფათები, ავი თქვენს დუშმანს და სიკეთე თქვენს ჯალაბობას. ..ჯანი მრთელი და გული მხიარული მოგცეთ სასოომ. ირემა, ჯორელა, წაბლა და შვინდა გაგიმრავლოთ, თქვენს შრომას ნუ მოაკლოს თვალი ღვთისა. მოგასწროთ, ძმობილებო, იმ დროს, რომ ალაგას და უალაგოს, მთაში, თუ ბარში, სარწყავნი ქსელივით გაბმულიყვნენ რუები, არხები, ღარები, მილები, რომ ღამის და დღის მეხრე ბიჭებს სჭერო-დეთ იღლიაში წიგნი და ხელში სახრე, რომ ყველა სოფლის სამსჯავროების, სამწერლოების გვერდით ჩაწკიპულიყვნენ სკოლები, მისცეს ღმერთმა ყუათი და დოვლათი თქვენს მაჯას.ეი, ფეიქრებო, იხაროს თქვენმა ჯანმა, მაჩვენოს უფალმა თქვენი ხელობა გავრცელებული ჩვენში; ბევრი ოსტატ-შეგირდები მენახოს თქვენს საფეიქროში. თქვენი ხელობა ნათელი საბუთია იმისი, თუ როგორ ყვაოდა ოდესმე ჩვენში ეროვნული ხელოსნობა!ძალუებო, ნათლის დედებო და ნათლის ჯალაბებო! ვაცხოვნე თქვენი მამა. თქვენ ხართ დღეს ქართველი დიაცის გამომხატველნი, თქვენშია დაცული სურათი ქართველის დედაკაცისა! ნუ მოგაკლოსთ მაცხოვარმა კაი საჩეჩელი, ლამაზი ჯარა, კოხტა თითის ტარი, მშვილდი და საქარგავი. კვალად ნუ მოგვაკლოს თქვენი გამომცხვარი პური, ნაზუქი, ხმიადი, ხაჭაპური, ქადა, ალაო, მჭადი, თქვენი გაკეთებული ხარშო, ნიორ-წყალი, ჭრიანტელი, ღოლოს, ლობიოს, ასლის, კორკოტის, შვინდის, საფალნის შეჭამანდები, თქვენი დაქსოვილი ფერად-ფერადი წინდები, ჩახსაკრავები, ხელთათმანები, პაიჭები. ნუ მოგვაკლოს თქვენ მიერ დამზადებულნი საახალწლოდ ბასილა, ბედის კვერი, ალვა, გოზინაყი, ალვახაზი! იცოცხლეთ დიდხანს ძალუა-ნათლიდედ-ჯალაბებო!

მეჭურჭლენო, ხაბაზებო, ქართველებო, მოგილოცავთ: განაძლიეროს ღმერთმა თქვენი ხელობა ჩვენში, ხელობაღაა თქვენი ღონე, ბიჭებო, ჩვენი გაჭირვების ტალკვესი, საღსარი ცხოვრებისა. მაშ გაუმარჯოს თქვენს მარჯვენას!

ხუმარა

გაზეთი „ივერია,“№4, 8 იანვარი, 1887 წ. *(იბეჭდება შემოკლებით)*

ასევე საინტერესოა თავად რაფიელ ერისთავის წერილი „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალი წელიწადის დღეს,“ რომელიც „ივერიის“ წინა წლის ნომერში დაიბეჭდა და იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხის ნატვრას ასახავს:

რაფიელ ერისთავი გურულებზე წერს: „ გურული: ჯერ წაიღებს ძვალს საწნახელზე, არაკუნებს და იძახის: „აგუნა, აგუნა! .. ჩვენს ქალებს ბევრი ყაჭი და აბრეშუმი არგუნა .

მერე საახალწლოდ გააკეთებს ჩიჩილაკს*) რომელზედაც ჯვარედინად დაარჭობს ვაშლებს, მოვა და ინატრებს უპირველესად მწერლის ნიჭს, დათა გუგუნავას გალობას, კილოს და მიმოხვრას, დიმიტრი გურიელის ოქრო-ვერცხლს, გა-მოჩენილის კაცის ღონე-ვარ-ჯიშობას და ვაჟკაცობას, მამიას ენა-მჭევრობას, სიტყვა წყლიანობას

• ჩიჩილაკი თხილის ჯოხია, იმდენად ნაფხვევი, რომ ნაფხვევები ნაშალაშინევ ბურბუშელასავით ჰკიდია, ვითომც იგავად წმინდა ბასილის წვერისა, რადგან ამ წმინდანის დღეობაა. (**გაზ. „ივერი“. №2, 4 იანვარი, 1886 წ.)**

სკანვორდი





პასუხები:

სუფრის წინამძღოლი; ხმა; ალაო; ბალეტი; ბალეტი; ბალეტი

სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად

ექვთიმე თაყაიშვილი. ოშკის ტაძარში. 1917 წ.

უაღრეს ბედნიერებად ვთვლი, რომ მე წილად მხვდა წევრობა იმ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების შემსწავლელი მხატვრული და არქიტექტურული ექსპედიციისა, რომელსაც საკუთარი ინიციატივით სათავეში ჩაუდგა დიდად ცნობილი, ჩვენი ღვაწლმოსილი, აწ განსვენებული მეცნიერი **ექვთიმე თაყაიშვილი.** სრული დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ თუ არა დიდებული მეცნიერის ასეთი თავგამოდება და მეცნიერული უდრეკობა, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ზუსტი დათარიღება, ყოველმხრივი აღწერა, დეტალური მასალა ისეთი ბრწყინვალე ქართული ძეგლებისა, როგორიც არის ოშკი, იშხანი, ხახული, ბანა და სხვა, რომლებიც თურქეთის მიწა – წყალზე მდებარეობენ და მათი ნიმუშები, ფრესკების ასლები, აღწერანი და დეტალები ექვთიმე თა-ყაიშვილის თქმით „ერთ მუზეუმს ეყოფდა“!

1917 წლის ექსპედიციამ, რომლის წევრები გახლდათ: ინჟინერ–არქიტექტორი **ან. კალგინი,** მხატვრები **დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი,** პოეტი **ილია ზდანევიჩი** და **მე,** ბატონ ექვთიმეს უშუალო ხელმძღვანელობით, გადმოვიღეთ ფრესკების ასლები, ტაძრების გეგმები და ჭრილების ნახატები. გაკეთდა მულაჟი მათი ბარელიეფისა და ა.შ.

ყველაფერი ჩამოვიტანეთ თბილისში და დღეს მუზეუმის საკუთრებას შეადგენს. ექსპედიციამ ზუსტად გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც აღნიშნულ ექსპედიციამდე უცნობი და შეუმოწმებელი იყო მეცნიერული ლიტერატურისათვის.

ჩვენ ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ არეში. აქ მდებარე ძეგლთა შორის არიან ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც – იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამ დაუღალავი მეცნიერის წყალობით, დაზუსტდა მათი შექმნის თარიღები, დეტალურად გაირკვა მრავალი წარწერა, დადგინდა მოხსენებულ პირთა ვინაობა და სახელები, ცხადი გახდა მათი დიდი მნიშვნელობა და როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში. უზომო სიყვარულისა და სიხარულის გრძნობით ვიგონებ ბატონ ექვთიმესთან მუშაობის დროს. ამ დიდად განსწავლული მეცნიერის გული აღსავსე იყო სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, ქართველი ერის შემოქმედებითი ენერგიისა და პოტენციის ძველი კულტურის გამოვლენის სურვილით. მე და მიხეილ ჭიაურელი დავფოფხავდით ამ ძეგლებზე, მათ ნანგრევთა კედლებზე, იქვე ჩვენ ახლოს იდგა ექვთიმე და გაფაციცებით მოგვახოდა:

– ყმაწვილებო! კარგად დააკვირდით ქრონიკონებს! თარიღის აღმნიშვნელ ასოებს, ზუსტად ამოიკითხეთ ყოველი მათგანი! – თვითონაც როგორც „ქრონიკონი“ იდგა, დურბინდით ათვალიერებდა ამ ნიშნებს და გვკითხავდა, – *მიშა, ლადო, ახლოს მიდით წარწერებთან, სათითაოდ მიკარნახეთ!* – ჩვენ წარწერებთან უფრო ახლო, უფრო გაბედულად მივფოფხდებოდით, ხმამაღლა ვუმეორებდით ყოველ ნიშანს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღფრთოვანდებოდა, როცა ჩვენი ნათქვამი მის მიერ ნავარაუდებს დაემთხვეოდა.

მას საოცარი მეცნიერული წვდომა ჰქონდა, ძველი წარწერების წაკითხვის შეუდარებელი უნარი. უმრავლესობას იქვე, გადმოღებისთანავე, კითხულობდა, ზოგს უფრო რთულს, სადგომში მისვლისას. ჩვენ, ახალგაზრდები, ვისვენებდით, იგი კი უჯდა საქმეებს, ფოტოებს, კალკებს, ნახატებს და არც დარჩენია ნაპოვნი რამ ამოუკითხავი.

თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა, ხოლო აქ ყველაფერი ახალი იყო, დღისით იქნებოდა ძეგლზე თუ ღამით, დასვენებისას ახალგაზრდულად წამოვარდებოდა, ქაღალდს დროშასავით ააფრიალებდა, აღფრთოვანებით შესძახებდა: – *აღმოჩენა! ახალი აღმოჩენა!*

ჩვენც ვიზიარებდით სიხარულს, ვიცოდით, ჩვენი ისტორიის ახალი, უცნობი ფურცელი იშლებოდა, ჩვენც გვედებოდა მისი აღფრთოვანება: აღარც ჩვენ ვიზოგავდით თავს. ვცოცავდით კლდეებსა და დანგრეულ კედლებზე, ვიღებდით, ვიწერდით, ვხატავდით, ვეგულისხმებიდით ყველაზე უფრო „ექვთიმეს სამყაროს“!

მცოცავთა შორის, ყველაზე „აკრობატი“ ილია ზდანევიჩი გამოდგა; ყველაზე მუყაითი, მუდამ დაუღალავი დავით შევარდნაძე იყო ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის კარგი მცოდნე. კეთილი მექართულე და ქართული ძეგლების მოტრფიალე. ჩემი ექსპედიციაში წაყვანაც, სწორედ დავით შევარდნაძის მეშვეობით მოხდა.

ყველაზე ხალისიანი და მუდამ დაუცხრომელი ხომ მიხეილ ჭიაურელი იყო. ერთხელ მახსოვს, ჩუმად მინარეთზე აძვრა და „მრევლი“ უდროო დროს „ალოცა“.

რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ფრონტის ხაზი, ხშირად, არც თუ ისე შორს იყო ჩვენგან. ცისარტყელების ნაცვლად, მძიმე არტილერიის უხილავი ყუმბარები და ხმა გადაგვივლიდა. ამ რთულ ვითარებაში განსაკუთრებით ჩანდა დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ექსპედიციის მომმართველისა, თარჯიმანისა და ტრანსპორტის გამრიგებლის ალექსანდრე ციციშვილისა, ჩვენი ქვეყნისა და ძეგლების გულდაგული პარტნიორისა.

დანარჩენებს არ შევეხები, მათი მოღვაწეობა და ღვაწლი ცნობილია. ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვეს იქ ნანახმა ძეგლებმაც და ადამიანებმაც, თითქმის ყოველ ხუროთმოძღვრულ დიდ ნაშთთან გვხვდებოდნენ გაწამებული ადამიანები, ქართულად შემოგვხვიდნენ და შემოგვტირიდნენ.

ერთი წყაროსთან, ბიბლიურ წლისა და სახის მცხოვანი უძრავად იწვა. სიბერისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა, მხოლოდ იცრემლებოდა და ჩურჩულებდა: – *წყალი ივლის, ივლის თავის ნაგუბარში ჩადგება! ერთიც შევაჩნიე. სამხრეთ ქართველებს – ძველი ტაძრების, ქართული კულტურის კერების გავლენა, მიუხედავად სრული გამაჰმადიანებისა, ახლაც ეტყობოდათ. კრძალვა და რიდი მინც ჰქონდათ მამაპაპური სალოცავებისა. ქალებიც მინც-დამინც თავს არ უდებდნენ ჩადრს. ჩვენ ვთხოვეთ და ყველამ ადვილად გადაიხსნა, სახე დაგვანახა, სურათიც კი გადაგვაღებინა ჩვენ წინაშე კვლავ გაბრწყინდა ქართული ჯიშის დახვეწილობა და სილამაზე.*

ძეგლთა უხვ სამკაულებს შორის ჩამრჩა ხახულში ნანახი, ქვაში ტვიფრული სიმბოლო – ქართული ფასკუნჯი – მუდმივი აღორძინების იდეაეს კლასიკური ნიმუში ნოტრ-დამის ქიმერების შემოქმედებასაც შეეხარბება!

საერთოდ ჩუქურთმების, შემკული სვეტებისა და კვარცხლბეკების, გორელიეფების, ფერად–სხივური წყობისა და კამარების მთელი ქართული შემოქმედური გულუხვობა არის წარმოდგენილი. მაგონდება ერთი შემთხვევაც, ოშკში წმინდანების გორელიეფები ვნახეთ. ერთ-ერთს თავი აკლდა.

ქვევით, კედლის ძირში, ნამსხვრევების გორა ეყარა. დავძებნე და წმინდანის თავს მივაგენი. მივაზომე და სწორად ჩავდა. ექვთიმე თაყაიშვილმა გულმხურვალედ გადამკოცნა.

– მოლიანობის აღდგენა, უძნელესი და უკეთილშობილესი შემოქმედებაა! შენ თითქოს იმედი გამომელე!

ჩემი მოხვედრა ექსპედიციაში განსაზღვრა იმ ლტოლვამ, რომელიც მეც სიყრმიდან მამოქმედებდა. – ყველგან ქართული ძეგლებისა და კედლის ნახაზებს შორის ვეძებდი „მხატვრულ ქართულობას“ და ეს მით უფრო სამხრეთ საქართველოში იყო საძებარი.

ჩემი ცხოვრების რთული და ეკლიანი გზით უკმაყოფილო მინც არა ვარ. ამ შემთხვევაშიც მე, ახალ სამყაროს გარემოში აღმოვჩნდი, რომლის კარი პირველად ჩაკეტილი დამიხვდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობითა და სითამამით აღჭურვილმა, უკან აღარ დავიხიე. დიდი იყო მშობლიურობა და ცდუნება ამ ფანტასტიკური საიდუმლოების გაგებისა.

ვიგრძენი თუ არა მისი სიდიადე, ამ ეროვნული კულტურის საუნჯის სიღრმეში უმალვე ჩავიძირე. ჩემი მხატვრული შემეცნების წინაშე გადაიშალა საოცარი, ფერწერული ხილვებით აღსავსე სამყარო. ამ კედლების მხატვრობამ დამატყვევა სურათოვანების ორიგინალობით, მაღალი ხატოვნების თავისებურებით, მეტად ინდივიდუალური წყობის მქონე სტილით. ფრესკები გასაოცარი ჰარმონიით ერწყმოდნენ ტაძრის არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ ანსამბლს, ასევე მთელ გარემოს.

ამ უბრწყინვალესი მხატვრობის თემები, უმთავრესად სასულიერო ხასიათისა იყო. უნატიფეს და ულამაზეს წმინდანებს მზექალების და მზევაჟების სახეები ჰქონდათ. რა ძალით გვიცქეროდნენ ღვთისმშობელი და მისი დობილები, მათ სურთ ავს აგვაშორონ. აგერ მზეჭაბუკი თეთრ ბედაურზე, იგი საქართველოს მცველი და მფარველი უნდა იყოს. ამ პერსონაჟებს საოცარი მიმზიდველობის ძალა აქვთ, მათი კეთილშობილება გხიბლავს, მზად ხარ მათ მიენდო, ისინი გიჯერებენ, რომ ქართველი ერის შემოქმედებითი გენია არ გაჰქრება.

უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში დგანან ეს ბუმბერაზი ძეგლები, თითქოს უპატრონონი, საუკუნებრივ ძილსაც კი მისცემიან, მაგრამ თითქოს ისინი მშობლისა და მფარველის განუწყვეტელ ლოდინში იყვნენ, ალერსს ითხოვდნენ, გონების ძალა და რესურსები. მაშ რა გზას ეწიოს თანამედროვე ხელოვანი ამ ცივილიზაციაში, როდესაც ასე მოჭარბებულია მეცნიერული აღმოჩენები. გაძლიერებულია ტექნიკა, მექანიზებულია მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. სად და როგორ ეძიოს ახალი სასიცოცხლო საშუალებანი? რა თქმა უნდა, დიდ შემოქმედს მუდამ დიდი შინაგანი იდუმალი ძალა გააჩნია. ჩემი წინაპრები, რომელთა ქმნილებების წინაშე მე ამ ტაძრებში უტყვი ვიდექი, ვხედავდი, რომ ისინი თავის გენიალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ გრძნობითა და ინტუიციით ნაკარნახევი ხერხებითა და საშუალებებით. ეს მაღალი პრინციპი, ჩემის აზრით, გასდევს და უდევს საფუძვლად „მხატვრულ ქართულობას“.

ამ კედლის მხატვრობის ნახვა და შესწავლა, აგრეთვე დამეხმარა იმის დადგენაში, თუ რა კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს სტილი, ან რაშია

იქნებ ჟამთა სვლა და სიავე ფერფლად ქცევასაც კი უქადდა, მაგრამ ჩვენ დროულად შევაღეთ ამ ტაძრების საუკუნეთა მანძილზე დახშული კარები, ძველი შემონახული ბგერებისა და ხმების პირველწყაროს საკვირველი ძალით წვდებოდა ჩვენი ინტუიცია, გრძნობდა ჩვენი გულისყური. ჩვენც ყველანი „ექვთიმოსნები“ გავხდით!

ამ ფრესკებში მე დავინახე საუკუნოობრივი განძი და უკვდავება. კომპოზიციებმა, სცენებმა და პერსონაჟებმა ამ კედლებზე, ასე მაღალ მხატვრულად წარმოდგენილმა, ჩემს ფიქრებში აღადგინეს და გააცოცხლეს ძველთაძველი ეპოქები, მრავალსაუკუნოვანი სანახაობები. მე გატაცებით ვეწაფებოდი იმ დიდი ადამიანების მიერ დატოვებულ გენიალურ ქმნილებებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს ადამიანთა ბედნიერებას.

ამ ფრესკებში გენიოსთა მიერ გარდაქმნილი სამყარო, ჰარმონიულად შერჩეულ ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე აგეს, ავთა და უგუნურთა დასაგმობად. რა დიდი ნეტარება განმაცდევინა ამ მშვენიერების გარემოში ხანგრძლივად ყოფნამ! ხოლო მის სულიერ გავლენას მარადჟამსა ვგრძნობ!

რა შეიძლება მოგვცეს ამ მხატვრობამ, ან რით შეიძლება დაეხმაროს ეს კულტურის ტრადიციები ჩვენს დღევანდელ სახვითი ხელოვნების მუშაკებს?

ჩვენი დღევანდელი მხატვრობის გზები ძალიან რთული და საკმაოდ მიხლართულ-მოხლართულია. ფიქრობენ, რომ რენესანსის ეპოქამ სავსებით ამოსწურა აკადემიური სკოლების შესაძლებლობანი. ევროპულმა მხატვრებმა ლუვრის მუზეუმის ირგვლივ რკინის გაუვალი კედელი აღმართეს, რათა იქით არ გაეხედათ. მტკიცებას არ საჭიროებს არც ის ფაქტი, რომ ლეონარდო და ვინჩიმ მაქსიმალურად გამოიყენა სირთულე. როგორც ცნობილია, სტილი ესა თუ ის მანერა, რომელსაც ხელოვანი იყენებს თემის სიუჟეტის, იდეის ხორცშესასხმელად. მანერაში, რა თქმა უნდა, შედის ხელოვანის ნატურის, ტემპერამენტის, ხასიათის, ეროვნული თავისებურებების პიროვნული ნიშნები. სტილში ნათლად გამოსჭვივის პიროვნების შემოქმედებითი პროცესის დინება, მისთვის დამახასიათებელი ტემპი, რიტმი, აღტყინების, მღელვარების, თავშეკავების ძალა, ხელოვანის მხატვრული მეტყველების მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება. მე მჯერა, რომ არა მარტო ხილული და უხილავი ინდივიდუალური თვისებები ან სულიერი შეხება რომელიმე კონკრეტულ ფაქტთან ქმნის სტილს, არამედ ყველაფერი ის, რაც შეადგენს ინდივიდუმის შინაგან სულიერ სისტემას.

ჩემი მხატვრული სტილის ჩამოწრთობაში, ქართულმა ფრესკამ, რომელიც მე მშობლიურ პირველწყაროდ მიმაჩნია, კეთილი, სულიერი ხელი დამადო.

ხახულის ტაძარში მოხდა ჩემი პირველი შემოქმედებითი შეყრა ფრესკასთან. აქ, ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, გავაკეთე კედლის მხატრობის ასლი „იერუსალიმში შესვლა“ საკმაოდ დიდი ზომისა. გარდა ამისა, მე გადმოვიღე პირები „ქრისტეს ფიგურისა“ და რამდენიმე წმინდანის მთლიანი კომპოზიციური პორტრეტი.

ახლა ჩემს გონების თვალწინ, დიდი ფრესკად აღმართულა წარსულის იმედიანი მწიგნობარი – თვით ექვთიმე თაყაიშვილი.

ლადო გუდიაშვილი

ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, XIX კრებული, თბილისი, 1969 წ.

ჩემს ოზურგეთს, გურიას, სრულიად საქართველოს და მის აღმატებულებას ქართულ თეატრს ვულოცავ შობა-კალანდას. მშვიდობის სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს იგი თქვენი ოჯახებისთვის.

ვასილ ჩიგოგიძე,
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის
სამხატვრო ხელმძღვანელი

გილოცავთ 2024 წლის შემობრძანებას, რომელიც უსათუოდ შეგმატებთ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მოგიტანთ ხვავსა დაბარაქას. გქონ-ოდეთ ფუძე მაგარი და ჭერი მაღალი.

ეროდი გორდელაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

ჩემო ოზურგეთელებო, ნატანებლებო, სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ შობა-კალანდას! მრავალს დაესწარით. იმრავლეთ, იხარეთ თქვენი მოლგების სასახელოდ.

თამაზ ტულუშ
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი,

შობა-კალანდას გილოცავთ ოზურგეთელებო! სიხარული, სიყვარული სიკეთე და ბედნიერება მოეტანოს.. მრავალჟამიერი თქვენს ოჯახებს.

პაატა კილურაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აჟორიტარი დეპუტატი



გილოცავთ შობა-კალანდას! მრავალს დაესწარით. ფუძე ჭერი დაგელოცოთ. სიყვარული და სიხარული შვილთა სიმრავლე, ხვავი და ბარაქა მოგმადლოთ უფალმა.

ბექა თოიძე
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

ჩვენო გურულებო! გილოცავთ შობა-კალანდის მობრძანებას, ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. წარმატებები თქვენს საქმიანობაში

გოჩა მდინარაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

2024 წელს მეტი სიხარული მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის, ახლო-ბლებისთვის სრულიად საქართველოსთვის. გისურვებთ ჯანმრთელობას., სიყვარულს, სიკეთეს.

ლევან კილაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი

გილოცავთ შობა-კალანდას! სიხარულისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს იგი ყოველი თქვენანისათვის, აბხდენოდეთ ოცნებები

ვლადიმერ ჩავლეშვილი
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი
სოფ. მთისპირში

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა სიყვარულით გილოცავთ შობა ახალ წელს! სიყვარულის, სიკეთისა და განვითარების წელი ყოფილიყოს!

მაია თავართქილაძე,
№1 საჯარო სკოლის დირექტორი

ჩვენს საყვარელ თანაქალაქელებს, მშ-ობლებს, ალსაზრდელებს ვულოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას. განსა-კუთრებული წარმატებების, აღმშენებლ-ობისა და ხარისხიანი განათლების წელი ყოფილიყოს

მაია სალუქვაძე,
№3 საჯარო სკოლის დირექტორი

ახალი წლის შემობრძანებას სასურველი ცვლილებების მოლოდინი ახლავს. სიკეთე, სიყვარული მოეტანოს ჩვენთვის. ძვეყნის სიყვარული გაგვიძლიეროს. გილოცავთ ჩემო ოზურგეთელებო! მარჯი საქართველოს!
ბახვის საჯარო სკოლის სახელით

მზია ვაშალომიძე.

სოფელ სილაურის საჯარო სკოლა გილოცავთ შობა ახალ წელს! ხვავი, ბარაქა, აკვანთა სიმრავლე, სიკეთე დაგვბედდებოდეს! თქვენი მრავალჟამიერი იყოს!

ბადრი ლომაძე,
სილაურის საჯარო სკოლის დირექტორი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი გილოცავთ შობა-კალანდას!

თოვლი +2+6	თოვლი -1+5	თოვლი -4+1	მზე -4+1	მზე +1+5	მზე ღრუბელი +6+9	წვიმა +3+7
11 იანვარი ხუთშაბათი	12 იანვარი- პარასკევი	13 იანვარი შაბათი	14 იანვარი კვირა	15 იანვარი ორშაბათი	16 იანვარი სამშაბათი	17 იანვარი ოთხშაბათი